41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება
GEORGIAN DREAM

ძვირფასო ნინოწმინდელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ნინოწმინდის მერობის კანდიდატისა და ნინოწმინდის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ნინოწმინდის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ნინოწმინდა და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი

ეკონომიკა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ადგილობრივი ბიუჯეტი

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 6,03 მლნ იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 13,9 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს გადასახადების ნაწილში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა 3,6 მლნ ლარი მიიღო, 2021 წლის გეგმის მიხედვით, საპროგნოზო მაჩვენებელი 67,1 მლნ ლარს შეადგენს.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან, 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, **აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამით,** ჯამურად, 1 143 ჰექტარი ფართობი დაიზღვა (დაზღვეულია 13 824 832 ლარის მოსავალი), რითაც 386-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ფერმერებზე 512 513 ლარი გაიცა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისათვის მოქმედებს 25 კოოპერატივი (393 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 574 540 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტის** პროგრამით, 2013-2021 წლებში, ჯამურად 34 529 964 ლარის პროექტები განხორციელდა (სახელმწიფოს თანამონაწილეობა – 5 613 373 ლარი), რითაც 652-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. 2020 წლიდან ხორციელდება **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა,** რომლის ფარგლებშიც 4 პროექტის ჯამური ღირებულება 301 400 ლარია, სახელმწიფოს თანადაფინანსება 241 120 ლარი. **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013-2020 წლებში, 4 230 418 ლარი დაიხარჯა, შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0 -დან (2013 წელს) 4 095 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია (თურქულის, ჯილეხის, ბრუცელოზის, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის, ცოფის საწინააღმდეგოდ), ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში რამდენიმე ასეულ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

მეწარმეობის განვითარება

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 323 035 ლარის გრანტი გაიცა. 452 004 ლარის ინვესტიციით ჯამურად დაფინანსდა 34 პროექტი, მათ შორის არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 15, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად, 19 პროექტი.

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტებისა თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა.**

ენერგეტიკა

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2014-2021 წლებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, **აშენდა** 2 ჰიდროელექტროსადგური (ფარავანი ჰესი და დვირულა ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 88,53 მეგავატს შეადგენს, ხოლო წლიური გამომუშავება – 420 მლნ კვტ/სთ. **მშენებლობის ან ლიცენზირების ეტაპზეა: მტკვარი ჰესი (**დადგმ. სიმძლავრე 53 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 230 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 115 მლნ აშშ დოლარი); **ახალქალაქი ჰესი** (დადგმ.სიმძლავრე 7,5 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 39,2 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 20 მლნ აშშ დოლარი); **ახალქალაქი ჰესი 2** (დადგმ. სიმძლავრე 1,6 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 9,8 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 5,5 მლნ აშშ დოლარი); **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა: ანდეზიტ ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 1,1 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 4,3 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 1,6 მლნ აშშ დოლარი); **ტაშისკარი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 0,9 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 6,9 მლნ კვტ/ სთ, ინვესტიცია 1,5 მლნ აშშ დოლარი); **პლატო ჰესი-ბორჯომჰესი** (დადგმ.სიმძლავრე 11,8 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 43,3 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 13,6 მლნ აშშ დოლარი); **არაკალი ჰესი (**დადგმ. სიმძლავრე 1,9 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 14,1 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 3,7 მლნ აშშ დოლარი);

2013-2017 წლებში, ნინოწმინდაში, 2 578 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა. 2016 წელს განხორციელდა სოფელ ფოკას **გაზიფიცირების** სამუშაოები და 360-მდე პოტენციურ აბონენტს მიეცა ბუნებრივი გაზის მიწოდების ქსელში ჩართვის საშუალება.

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა რეგიონის ტურისტული

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

რესურსების სრული ინვენტარიზაცია. მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების შემდგომი კვლევის პროექტი. 2014-2017 წლებში ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან სამომავლოდ დასასაქმებელი პირებისათვის. ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების მიზნით, იგეგმება ტურისტული საფეხმავლო ბილიკების დაპროექტება-მარკირება, სათანადო მანიშნებლებითა და საინფორმაციო დაფებით.

- **„ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის, ქვეყანას 10 მლნ მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2017 წელს მუნიციპალიტეტში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია** და მომზადდა ტყის მართვის 10-წლიანი გეგმა. 2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 86 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება.**

- **სამომავლოდ გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და ოჯახების (კომლი) საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გაგრძელდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება და ეფექტიანობის ამაღლება, დაგეგმილია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა დარღვევათა პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით („ცხელი წერტილების“ კონტროლი სამეთვალყურეო კამერებით, ახალი თაობის დრონების გამოყენებით და სხვა);**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

სამუშაოები ხანჩალის ტბაზე

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ნინოწმინდაში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 21 მლნ ლარამდე დაიხარჯა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 ხიდს.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში ნინოწმინდის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 16 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 585 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2021-2022 წლებისთვის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- დიდი ხანჩალი-კათნატუს გზის მოასფალტება – 1 471 151 ლ;
- ქ. ნინოწმინდაში აივაზოვსკის, საიათნოვის, ისაკოვის, მიასნიკიანის, მიქელაძის, ბარათაშვილის, ჯივანის, გინოსიანის, გაგარინის ქუჩების მოასფალტება – 1 330 584 ლ;
- დიდი გონდრიო-პატარა გონდრიო – გზის მოასფალტება – 447 368 ლ;
- ეშტია-ტორია და ეშტია-უჩმანას გზების მოასფალტება– 1 763 158 ლ;
- დიდი გონდრიო-პატარა გონდრიო – გზის მოასფალტება – 426 316 ლ;
- ქ.ნინოწმინდაში გზის საფარის განახლება – 100 000 ლ;
- ქ.ნინოწმინდაში გზის საფარის განახლება – 100 000 ლ;
- დასასვენებელი ტურისტული ზონის მოწყობა – 40 000 ლ;
- სოფ. გორელოვკის წყალსადენის სისტემის მოწყობა – 60 000 ლ;
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გარეგანათების რეაბილიტაცია – 100 000 ლ;
- სოფ. ეშტიის წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია – 4 000,00 ლ;
- სოფ. დიდი არაქალის სასმელი წყლის აუზის რეაბილიტაცია – 5 000 ლ;
- სოფ. ყულალისის წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია – 3 000 ლ;
- დიდი გონდრიო-პატარა გონდრიო გზის მოასფალტება – 426,316 ლ.

ანივარდ (ანი) მოსოიანი: „ნინოწმინდელებმა იციან, რომ ჩემი იმედი უნდა ჰქონდეთ, ყოველთვის მათ გვერდით დავდგები“

ნინოწმინდის მერის თანამდებობისთვის „ქართული ოცნებიდან“ კვლავ ანივარდ (ანი) მოსოიანი იბრძვის. 2 ოქტომბერს კანდიდატის „სავიზიტო ბარათი“ ბოლო წლებში გაკეთებული საქმეებია. ამბობს, რომ ნინოწმინდელებს დაპირებების თითქმის 80% შეუსრულა. სამომავლოდაც ბევრი გეგმა აქვს – პოლიტიკაში განათლებიდან მოსული ქალბატონის მთავარი პრიორიტეტია მუნიციპალიტეტის 31-ვე სოფელს ჰქონდეს საბავშვო ბაღი და კეთილმოწყობილი სკოლები, დასრულდეს დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტები, ხელი შეეწყოს მცირე მეწარმეობას, შესაბამისად სამუშაო ადგილების გაჩენას და მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ტბებით მდიდარი ნინოწმინდის ტურისტული პოტენციალიც. უფრო კონკრეტულ გეგმებს კი, მერობის უკვე გამოცდილი კანდიდატი, ხალხთან შეხვედრებისას, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე დასახავს ისე, როგორც ამას ბოლო 4 წელი აკეთებდა.

დაიბადა 1974 წლის 9 მაისს, ნინოწმინდაში. 1991 წელს დაამთავრა ნინოწმინდის №2 საჯარო სკოლა; 1994 წელს დაასრულა ერევნის ეკონომიკურ-იურიდიული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, 2000 წელს კი თბილისის საერო ინსტიტუტი „გაენათი“ ქართული ენის პედაგოგის სპეციალობით.

1994-2017 წლებში მუშაობდა ნინოწმინდის №3 საჯარო სკოლაში ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლად. 2008 წელს დაინიშნა ნინოწმინდის №3 საჯარო სკოლის დირექტორად. 2009-2013 წლებში იყო ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი.

2014 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, აირჩიეს ნინოწმინდის საკრებულოს წევრად მპგ „ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველოდან“ და თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას.

2017 წ. აირჩიეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერად და ეს თანამდებობა უკავია დღემდე.

ფლობს ქართულ, სომხურ, რუსულ, გერმანულ (საბაზო დონე) ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– ქალბატონო ანივარდ, ნინოწმინდის მერობისთვის უკვე მეორედ იბრძვით. საინტერესოა „ქართულმა ოცნებამ“ ნდობა ისევ თქვენ რატომ გამოგიცხადათ?

– „ქართული ოცნების“ მიერ ნდობის კიდევ ერთხელ გამოცხადება ჩემთვის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. ვფიქრობ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ის გაითვალისწინეს, რომ თამამად შემიძლია ვთქვა – თვითმმართველობის წინა არჩევნებზე რა გეგმებიც გვქონდა მუნიციპალიტეტში, რა დაპირებებიც მივეცით მოსახლეობას, მათი 80% უკვე შესრულებულია. გარდა ამისა, დაწყებულია არაერთი პროექტი, რომლებსაც, გამარჯვების შემთხვევაში, ბოლომდე აუცილებლად მივიყვან. ძალიან კარგად მახსოვს, 2017 წლის წინასაარჩევნო პერიოდში მუნიციპალიტეტის სოფლებში შეხვედრებზე მოსახლეობას რა მოთხოვნები ჰქონდა. ამ ოთხ წელიწადში ყველა პროექტი მათი საჭიროებების გათვალისწინებით დავგეგმეთ და განვახორციელეთ.

– რა იყო მათი მოთხოვნები და რა მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელეთ?

– მუნიციპალიტეტში არის გონდურის თემი, რომელშიც 5 სოფელი შედის. ამ სოფლებამდე მისასვლელი გზა სავალალო მდგომარეობაში იყო. მუნიციპალიტეტის ცენტრიდან ამ თემის სოფლებამდე მისასვლელად ადამიანს დაახლოებით 1 საათი სჭირდებოდა. უკვე დაიგო ასფალტისსაფარიანი გზა თემის არა მხოლოდ პირველ, არამედ მომდევნო სოფლებამდეც და მხოლოდ ერთ სოფელში შემავალი გზის დასრულებაა დარჩენილი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის.

ასევე გაკეთდა პატარა ხანჩალთან მისასვლელი გზა და დღეს, ნინოწმინდიდან პატარა ხანჩალში 5 წუთის სავალია. მეამაყება, რომ განახლებული რეგიონის პროექტის ფარგლებში დავიწყეთ ქალაქ ნინოწმინდაში არსებული 2 სკვერის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ამ ორიდან ერთი სკვერი ათეული წლების განმავლობაში მიტოვებული და გავერანებული იყო. ამ სივრცეების კეთილმოწყობა მნიშვნელოვანია, რადგან ისინი მხოლოდ ადგილობრივების დასასვენებელ კი არა, ტურისტებისთვის მიმზიდველ ადგილებად შეიძლება იქცეს. დიდი ყურადღება მივაქციეთ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებასაც. სხვათა შორის, ეს მოსახლეობის ერთ-ერთი მოთხოვნაა იყო – თითქმის ყველა სოფელში გვთხოვეს და დავპირდით, რომ მათ კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები ექნებოდათ. 2021 წლის მდგომარეობით, რეაბილიტირებულია 23 სპორტული მოედანი. ასე რომ, თამამად შემიძლია ვთქვა – ჩვენს მუნიციპალიტეტში, მართლაც მასშტაბური პროექტები განვახორციელეთ. აქტუალურია წყალმომარაგების საკითხიც. მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებას უზრუნველყოფს კონკრეტული კომპანია. გვაქვს შემოთავაზებები და შესაძლებელია განვახორციელოთ ახალი პროექტები, რათა წყლის 24-საათიანი მიწოდება შევძლოთ.

– მასშტაბური პროექტები საგანმანათლებლო კუთხითაც თუ განხორციელდა და თქვენთვის, როგორც თანამდებობაზე ამ სფეროდან მოსული ადამიანისთვის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და სკოლების კეთილმოწყობა თუ იყო პრიორიტეტი?

– დიახ, მერის თანამდებობაზე საგანმანათლებლო სფეროდან მოვედი. ნინოწმინდის №3 სკოლაში 24 წელი ვიმუშავე. პედაგოგიც ვიყავი და დირექტორის მოვალეობასაც ვასრულებდი. მოგვიანებით, საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორიც გახლდით და საკრებულოში ყოფნისას, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას ვხელმძღვანელობდი. შესაბამისად, ჩემთვის, ისევე, როგორც „ქართული ოცნებისთვის“, განათლება პრიორიტეტულია.

მეამაყება, რომ დავიწყეთ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა სოფლებში: პატარა ხანჩალი, როდიონოვკა, ჯიგრაშენი, ყულალისი. მეამაყება ისიც, რომ ნინოწმინდის უახლეს ისტორიაში, სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით ისეთი ნაბიჯები არ გადადგმულა, რაც ჩვენმა გუნდმა ბოლო წლებში გადადგა. სოფლად სკოლების სველი წერტილები სავალალო მდგომარეობაში იყო. მეტიც, შეიძლება ითქვას, რიგ მათგანში, მოსწავლის შესვლაც კი, სახიფათო გახლდათ, ზოგან კი, სველი წერტილი საერთოდ არ არსებობდა. დღეს ეს პრობლემა ყველა სოფლის ყველა სკოლაში მოხსნილია. მიუხედავად ამისა, სკოლების საკითხი, კვლავ აქტუალურია – ისეთი სკოლები, ვისაც შესაძლებლობა არ აქვს თავის სახსრებით განახორციელოს სამუშაოები, რეაბილიტირებას ითხოვენ. იმედია, ამ პროექტების განხორციელებასაც შევძლებთ.

– როგორ მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტში სწავლა დისტანციურ რეჟიმში?

– თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ მხრივ არანაირი პრობლემა და შეფერხება არ გვქონია. ინტერნეტი ყველა სკოლას უწყვეტად მიეწოდებოდა და არც იმაზე მომსვლია ინფორმაცია,

რომ რომელიმე მოსწავლე არ იყო უზრუნველყოფილი ტექნიკით ან ინტერნეტით.

– ასევე თამამად შეგიძლიათ თქვათ, რომ მუნიციპალიტეტში ენის ბარიერის პრობლემა მოხსნილია?

– სასიხარულოა, რომ არაქართულენოვანი მოსწავლეები 1+4 პროგრამით აბარებენ ეროვნულ გამოცდებს. ამის შედეგი ის არის, რომ ჩვენი არაქართულენოვანი მოქალაქეების თითქმის 80% უკვე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს და, შესაბამისად, ეძლევა შესაძლებლობა, კარგად დაეუფლოს ქართულ ენას, მიღებული ცოდნა შრომის ბაზარზე გამოიყენოს და საზოგადოებაში თავი დაიმკვიდროს. სხვათა Soris, ეს პროგრამა იმ პერიოდში დაიწყო, როცა მე რესურსცენტრს ვხელმძღვანელობდი, რაც ძალიან მეამაყება. ჩვენმა მოსწავლეებმა არაერთ გაცვლით პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა, რამაც ქართველ ბავშვებთან მათ ინტეგრირებას შეუწყო ხელი. ენობრივი ბარიერი, ცხადია, ჰქონდათ, მაგრამ დიდ გამოცდილებას იძენდნენ. ნინოწმინდაში დაბრუნებულები გახარებულები ყვებოდნენ, რომ მაგალითად, ქართულად ახსნილი ქიმიის გაკვეთილი ესმოდათ, უბრალოდ, ვეღარ აქტიურობდნენ, რადგან თავად ვერ საუბრობდნენ კარგად. მიხარია, რომ დღეს, ჩვენი ბავშვები ასე მოწადინებულები არიან, საქართველოს სახელმწიფო ენა ისწავლონ და წარმატებას საქართველოშივე მიაღწიონ. ვფიქრობ, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში ენის ბარიერის პრობლემა მოხსნილია. ასაკოვანი ადამიანების შემთხვევაში კი, ალბათ თავადაც ხვდებით, რომ ამ პრობლემის გადაჭრა რთულია. თუმცა, მათ რიგებშიც არიან ადამიანები, ვისაც ქართული ენის სწავლის სურვილი აქვს და ამაში მათ ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების სკოლა ეხმარება.

– კურსდამთავრებულები მუნიციპალიტეტში რომ დაბრუნდნენ, სამუშაო ადგილების დეფიციტი არ დახვდებათ?

– ვფიქრობ, ჩვენი მთავარი საფიქრალი სწორედ ის უნდა იყოს, რომ ნასწავლი თაობის, ჩვენი მერცხლების, მუნიციპალიტეტში დაბრუნებული ჩვენი ახალგაზრდების დასაქმება შევძლოთ.

– ამისთვის რა ნაბიჯების გადადგმაა საჭირო?

– მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უნდა შევუწყოთ ხელი. ეს უმნიშვნელოვანესია. მხოლოდ ასე შეიქმნება სამუშაო ადგილები და ხალხი დასაქმდება. სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სამინისტროები მოქალაქეებს ბევრ საშეღავათო პროექტს სთავაზობენ. რამდენიმემ ნინოწმინდაშიც ისარგებლა ამ სიკეთით. მოსახლეობას ამ პროგრამების შესახებ ინფორმაციას ვაწვდით. კარგი იქნება, თუ მუნიციპალიტეტში დიდი საწარმოც შეიქმნება, როგორ ადრე იყო, როცა ნინოწმინდა მთელ დედაქალაქს ამარაგებდა რძის პროდუქტებით. ჩვენი მხარე მარცვლეულითა და კარტოფილით მდიდარია. შესაძლებელია, მაგალითად, ჩიფსის, თუნდაც მცირე საწარმოების გახსნა.

– გამოდის, ნინოწმინდის განვითარების მთავარი პერსპექტივა სოფლის მეურნეობაა?

– არა მხოლოდ. მუნიციპალიტეტი ტურისტული თვალსაზრისითაც საინტერესოა, რადგან ნინოწმინდა ულამაზესი ტბებითაა მდიდარი. ფარავნის ტბაზე უკვე დაიწყეს ინფრასტრუქტურის მშენებლობა. მსგავსი პროექტები შესაძლოა სხვა ტბებზეც განხორციელდეს და მუნიციპალიტეტი ტურისტებისთვის მიმზიდველი გახდეს. ამას საოჯახო სასტუმროების მშენებლობაც მოჰყვება.

ტურიზმის განსავითარებლად აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტში 31 სოფელია და თითქმის ყველა სოფლამდე მისასვლელი გზა ასფალტის საფარითაა დაფარული. დარჩა მხოლოდ 1-2 სოფელი. შესაბამისად, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მომდევნო წელსაც იგეგმება.

გავაგრძელებთ საბავშვო ბაღების მშენებლობასაც. ჩემი მიზანია, ყველა სოფელს ჰქონდეს საბავშვო ბაღი. სხვა სამომავლო გეგმებს, ხალხთან უშუალო შეხვედრებისა და მოლაპარაკებების დროს დავსახავთ. როგორც ამას აქამდე ვაკეთებდი.

– ხალხთან მუდმივი კომუნიკაცია წინა არჩევნებზე თქვენი ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო. პანდემიამ ამ დაპირების შესრულებაში, გარკვეულწილად, არ შეგიშალათ ხელი?

– თქვენ წარმოიდგინეთ, პირიქით - პანდემიამ უფრო დამაახლოვა ხალხთან. თითქმის ყველა სოფლის, ყველა ოჯახის ერთი წევრის პირადი მონაცემები მაქვს და მათთან მუდმივი კომუნიკაცია მქონდა. კომენდანტის საათის დროს, მათ გარკვეული საკითხების მოგვარებაში ვეხმარებოდი.

მოგეხსენებათ, ჩვენ მუნიციპალიტეტში, მოსახლეობა მცირე მეწარმეობითაა დაკავებული. პირუტყვი ჰყავთ და საღამოს, ერთმანეთში აბარებენ რძეს. პროდუქტის ტრანსპორტირებისას სჭირდებოდათ დახმარება. არის ისეთი ოჯახებიც, რომლებიც მეფუტკრეობას ეწევიან და შედარებით თბილი ჰავის გამო ასპინძის მუნიციპალიტეტში ჰქონდათ სკები განთავსებული. სკების დამუშავების შემდეგ, ზოგჯერ უკან დაბრუნება გვიან უწევდათ და მირეკავდნენ, თავის გასაჭირს მიყვებოდნენ. თითოეული ასეთი შემთხვევა პირად კონტროლზე მყავდა აყვანილი. მიხარია, რომ ნინოწმინდელებმა იციან – ჩემი იმედი უნდა ჰქონდეთ და ყოველთვის გავუწვდი მათ დახმარების ხელს.

– ამ ფონზე, 2 ოქტომბერს, მხარდაჭერის იმედი გაქვთ? პროფესიით ფსიქოლოგი როგორ პროგნოზს აკეთებთ – მოსახლეობა ხმას თქვენ მოგცემთ?

– პროფესიიდან გამომდინარე, პირველივე შეხვედრისას შემიძლია გავიგო, ადამიანს როგორი ფსიქიკა აქვს, მენდობა თუ არა, რას ელის ჩემგან. დარწმუნებული ვარ, ნინოწმინდის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩემი მხარდამჭერია და 2 ოქტომბერს აუცილებლად გავიმარჯვებ.

ანი მოსოიანის წარმატების საიდუმლო

ანივარდ მოსოიანი ნინოწმინდის მკვიდრია. აქ დაიბადა და გაიზარდა. 8 თვის იყო, მამა რომ გარდაეცვალა. დედამ ახალი ოჯახი შექმნა, ანივარდის გაზრდა კი ბებია-ბაბუამ ითავეს. 5 წლის ანის ახალი უბედურება დაატყდა თავს – ბებია და ბაბუა გარდაიცვალნენ. საბოლოოდ, მარტოდარჩენილი გოგონა მზრუნველმა მამიდამ გაზარდა.

სკოლა ნინოწმინდაში დაამთავრა. ბავშვობიდან ექიმობაზე ოცნებობდა და 1991 წელს, სამედიცინო ფაკულტეტზეც აბარებდა რუსეთში, მაგრამ ორი გამოცდის ჩაბარების შემდეგ, საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესში, იძულებული გახდა, დაბრუნებულიყო. მოგვიანებით, ერევანში ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ოქროს მედალზე დაასრულა. რუსული სკოლა დაამთავრა, ერევანში სომხურ ენაზე ისწავლა, 2000 წელს კი, თბილისში, „გაენათში“, ქართული ენის პედაგოგის სპეციალობას დაეუფლა.

ჰყავს მეუღლე, სურენ მზიკიანი, პროფესიით ინჟინერი, რომელიც ნინოწმინდის სახანძრო-სამაშველო სამსახურში ინსპექტორად მუშაობს.

წყვილს ორი შვილი ჰყავს. ლუსინე თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში რეზიდენტურაზე სწავლობს; გიორგიმ კი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაასრულა და მაგისტრატურაზე აგრძელებს სწავლას. ქალბატონი ანივარდი ფიქრობს, რომ შვილები, სწავლის დამთავრების შემდეგ, მიღებულ ცოდნას მშობლიურ და საყვარელ ნინოწმინდას მოახმარენ.

მისი ცხოვრება ტრაგიკულად დაიწყო და ძალიან პატარა შეეჩეხა სამყაროს პირისპირ მარტოდმარტო, მაგრამ წლების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა და დღეს ბედნიერი ოჯახი აქვს. გვიმხელს, რომ ქალისთვის თანამდებობაზე ყოფნა მარტივი არ არის, რადგან პარალელურად, ოჯახშიც უნდა შეასრულოს დიასახლისის, მეუღლისა და დედის როლი, თუმცა ამის მიღწევა მონდომების, დროის სწორი განაწილებისა და ყურადღების მაქსიმალური კონცენტრაციის ხარჯზე შესაძლებელია. თუმცა წარმატების მთავარი საიდუმლო ძლიერი ოჯახია – ანი მოსოიანი ამბობს, რომ მეუღლე და შვილები მას განსაკუთრებით უჭერენ მხარს, ყველა წამოწყებაში გულშემატკივრობენ და სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ძლიერი ქალბატონი საპასუხისმგებლო საქმეს წარმატებით ასრულებს.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტზე** გამოიყო 11 892 660 ლარი, დაფინანსდა 21 929 შემთხვევა, **მათ შორის: გეგმური ამბულატორიული** (1 786 560 ლარი, 134 206 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (996 429 ლარი, 12 378 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (7 019 328 ლარი, 4 678 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (1 687 934 ლარი, 1 478 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 059 220 ლარი, 2 071 შემთხვევა) **და ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (577 547 ლარი, 1 164 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით ნინოწმინდაში დაფინანსდა 381 ბენეფიციარი (15 821 ლარი).

2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 94%-დან 100%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი.

ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, პროგრამით ნინოწმინდაში 35-მა პაციენტმა სტაციონარული მკურნალობით ისარგებლა (143 043 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 558-მა (67 993 ლარი).

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისი მიიღო 3 477-მა ორსულმა (204 257 ლარი). მედიკამენტებით უზრუნველყოფილია 1060 ორსული.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 25 პირი (5 556 ლარი).

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტს 37 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: სოფელ განძის ამბულატორიის შენობის საძირკველის მშენებლობა (7 899 ლარი), **ახალი ამბულატორიების მშენებლობა** სოფლებში ჟდანოვაკანი (52 500 ლარი), ჯიგრაშენი (67 950 ლარი), თორია (67 700 ლარი),დიდი არაქალი (68 200 ლარი), პატარა ხანჩალი (50 250 ლარი), დიდი ხანჩალი (63 327,0 ლარი), მამწვარა (67 601 ლარი), დიდი გონდრიო (64 776 ლარი), ტამბოვკა (48 623 ლარი),სათხა (29 000 ლარი), ქ. ნინოწმინდაში **სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა** (254 578 ლარი). **დაგეგმილია** ამბულატორიების მშენებლობა გორელოვკასა (70 000 ლარი) და ოროჯალარში (70 000 ლარი).

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივები 69,0 ათასიდან 149,6 ათას ლარამდე გაიზარდა.

2012 წლიდან დღემდე მუნიციპალიტეტი, ჯანდაცვის პროგრამით აფინანსებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხარჯებს. ნინოწმინდის ბიუჯეტის ზრდასთან ერთად ეტაპობრივად იზრდება პროგრამის ბიუჯეტი (2012 წელს – 15000 ლარი, 2021 წელს – 150 000 ლარი) და ბენეფიციართა რაოდენობა (2012 წელს – 80 ბენეფიციარი, 2021 წელს – 300), იგეგმება 2022 წლისთვის 320 ბენეფიციარის 172 000 ლარით დაფინანსდება, ხოლო 2024 წლისთვის ბენეფიციართა რაოდენობა 400-მდე, ხოლო ჯანდაცვის ბიუჯეტი 195 000 ლარამდე გაიზარდება.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები.

სოციალური დაცვა

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისთვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ).

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პენსიის მიმღები (01.04.2021 წ. მდგომარეობით) 3890 პირია. 2012 წლის შემდეგ, პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი თითქმის 2,3-ჯერ – 4 652 953-დან 10 476 366 ლარამდე გაიზარდა, ხოლო, 2013-2021 წლებში, ასაკით პენსიონერთა საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 65 656 653 ლარი დაიხარჯა.

2013 წლიდან დაზუსტდა სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. ნინოწმინდაში სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებია 27 პირი (01.04.2021 მდგომარეობით). 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 2,3-ჯერ – 55 694 ლარიდან 129 198 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში კი სულ გაცემულია 868 620 ლარი.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარსქვევით მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილია სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი 505 ოჯახი (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი 5,6-ჯერ – 165 ათასიდან 928 ათას ლარამდე გაიზარდა და 2013-2021 წლებში, სულ 4 264 ათასი ლარი დაიხარჯა, მათ შორის, პენსიონრებზე – 905 ათასი, შშმ პირებზე – 272 ათასი, ბავშვებზე – 2 100 ათასი ლარი.

შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – მუნიციპალიტეტში სულ 681 მიზნობრივი ჯგუფია. 2012 წლის შემდეგ 5,9-ჯერ – 198 760 ლარიდან 1 181 668 ლარამდე გაიზარდა გაწეული ხარჯი და 2013-2021 წლებში, სულ 7 755 189 ლარი გაიცა. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ნინოწმინდაში დაფინანსებულია 327 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომარეობით), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 2 582 300 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 524 000 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ნინოწმინდის მუნიციპალიტეტზე – 926 100 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) **ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად** (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). პროგრამაში, 2020 წელს, ნინოწმინდაში, ჩართული იყო 386 ოჯახი, 2021 წელს – 476. ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა **სოციალურად დაუცველი ოჯახების** მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც **ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი.** პროგრამით, ნინოწმინდაში 2020 წელს ისარგებლა 102-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 120-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოყოფილია 100 ლარი 6 თვის განმავლობაში, პროგრამით 2020 წ. ისარგებლა 174-მა, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით)– 181-მა პირმა.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივები 90,0 ათასიდან 367,0 ათას ლარამდე გაიზარდა.

მუნიციპალიტეტი 2012 წლიდან დღემდე, სოციალური დაცვის სფეროში, ახორციელებს 8 პროგრამას: ერთჯერადი ფინანსური დახმარება ორმხრივად და ცალმხრივ ობოლ ბავშვთა ოჯახებსა და მრავალწევრიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს; ინვალიდების ფინანსური დახმარება; სამუსიკო და სპორტული სექციის აღსაზრდელთა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების გადასახადის დაფინანსება და საწვავის შეძენა; მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა; ვეტერანების ფინანსური დახმარება; ერთჯერადი ფინანსური დახმარება და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯების დაფარვა.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

სოფ. აზავრეთის საჯარო სკოლა

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.

ნინოწმინდაში ფუნქციონირებს ა(ა)იპ საბავშვო ბაღი „წიწერნაკი“, 12 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 2 – ქ. ნინოწმინდაში, ხოლო 10 – სოფლად.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ნინოწმინდაში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების **დაფინანსება:** 2020 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა **1 მლნ** ლარით განისაზღვრა, 2013 წელს იგივე მაჩვენებელი 210 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებში განხორციელდა: ნინოწმინდის საბავშვო ბაღის გათბობის სისტემის მშენებლობა (12,8 ათასი ლ), ნინოწმინდის (წიწერნაკი) საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (24,4 ათასი ლ) და შემოღობვა/რეაბილიტაცია (20,2 ათასი ლ), ფოკაში კულტურის სახლის რეკონსტრუქცია საბავშვო ბაღად (28,5 ათასი ლ), დიდი გონდრიოს საბავშვო ბაღის (4,9 ათასი ლ), ნინოწმინდის დიდი ხანჩალის საბავშვო ბაღის წყალსადენისა და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია

(4,9 ათასი ლარი); დილითში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები (3,3 ათასი ლარი). **2017** წელს სოფელ დილითსა (41,5 ათასი ლ) და გორელოვკაში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (12,7 ათასი ლარი), გათბობის სისტემის მოწყობა სოფელ დიდი გონდრიოს ბაღში (2,2 ათასი ლარი); ნინოწმინდაში ახალი ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია საბავშვო ბაღად (178 ათასი ლარი); ქ. ნინოწმინდის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (66, 7 ათასი ლარი); **2018 წელს,** სარეაბილიტაციაო სამუშაოები ჩატარდა სოფლების – განძის (25 ათასი ლ); დიდი არაქალის (17,7 ათასი ლარი); სოფელ დილითის (12 ათასი ლ), გორელოვკის (5, 6 ათასი ლ), ფოკასა (30 ათასი) და ნინოწმინდის „წიწერნაკი“ (30 ათასი ლ) – საბავშვო ბაღებში; **2019** წელს დასრულდა სოფელ განძის საბავშვო ბაღში ცენტრალური გათბობის სამონტაჟო სამუშაოები (26, 1 ათასი ლ), 2020 წელს დაიწყო როდიონოვკის ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა (280 ათასი ლ), ამჟამად მიმდინარეობს სოფელ ჯიგრაშენში ყოფილი კოლმეურნეობის შენობის საბავშვო ბაღად რეკონსტრუქციის სამუშაოები (72, 5 ათასი ლ);

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, აღსაზრდელთა რაოდენობა 150-დან 1 400-მდე გაიზარდა. ა(ა)იპ საბავშვო ბაღში „წიწერნაკი“ 880 აღსაზრდელი ირიცხება. 2,04 ლარამდე გაიზარდა **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე, გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების კვების რაციონი. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია საბავშვო ბაღების 14 ჯგუფში, სადაც ჩართულია 516 ბავშვი; სულ დასაქმებულია 55 აღმზრდელ-პედაგოგი. **სასკოლო მზაობის პროგრამა** ხორციელდება 6 ალტერნატიული ცენტრის 6 ჯგუფში (89 აღსაზრდელი).

ზოგადი განათლება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 38 საჯარო სკოლა (ქალაქში – 4, სოფლად – 34), სადაც 3878 მოსწავლე და 927 მასწავლებელია, დასაქმებულია 18 სპეციალური მასწავლებელი. არაქართულენოვან სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის, შესწავლის ხელშეწყობის მიზნით, დასაქმებულია 13 კონსულტანტ-მასწავლებელი. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ 2020 წლის მაისის მდგომარეობით იდენტიფიცირებულია 40 სსსმ მოსწავლე. 2 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 4 მანდატური იცავს, ხოლო სადაც მანდატურები არ არიან, გადამზადდა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორი/დირექტორის მოადგილე).

2013-2020 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არაერთი პროგრამა განახორციელა, მათ შორის: 2013-2018 წ.წ. პროგრამით **„წარჩინებულ მოსწავლეთა მედლები“** გამოვლინდა 35 ოქროსა და 29 ვერცხლის მედალოსანი; 2017-2019 წ.წ. პროგრამაში **„საზაფხულო სკოლები“** 318 მოსწავლე მონაწილეობდა, ხოლო **სასკოლო კონკურსებში** გამარჯვებულია 5 მოსწავლე; **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით** 7 საჯარო სკოლის (9 მიმართულება) 30 მოსწავლე სარგებლობს; **ექიმის კაბინეტი** ფუნქციონირებს 4 საჯარო სკოლაში; 2017-2019 წლებში, **უფასოდ** გაიცა 42 083 **სახელმძღვანელო** და რვეული; პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** პორტაბელური კომპიუტერი გადაეცა 1030 პირველკლასელს, 94 დამრიგებელსა და 79 წარჩინებულ მოსწავლეს; **სასკოლო აქტივობების ხელშესაწყობად** დაფინანსდა 86 პროექტი; **ინტელექტ-ჩემპიონატებში** მონაწილეობდა 1 014 მოსწავლე, **ეროვნულ ოლიმპიადებში** – 835, **სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში** – 730. **ოპტიკური კავშირით და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** უზრუნველყოფილია 26 სკოლა; **რადიოტექნოლოგიით და გაუმჯობესებული კავშირის** სიჩქარით უზრუნველსაყოფად განხორციელდა 53 პროექტი, **პროფესიული უნარების კურსები** დანერგილია 3 სკოლაში; 2017 – 2019 წლებში, **ახალი სკოლის მოდელის** ფარგლებში, კომპიუტერები გადაეცა სოფელ ტირძნისის, დაბა წაღვერისა და ბორჯომისN23 საჯარო სკოლებს. პროგრამით **„ასწავლე საქართველოსთვის“** ტრენინგ-მოდულები გაიარეს **მასწავლებლებმა.**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2020 წლებში, ნაწილობრივი რეაბილიტაცია განხორციელდა: 2013 წელს 5 საჯარო სკოლაში, დაიხარჯა სულ 426,1 ათასი ლარი, 2014 წელს – 7 საჯარო სკოლაში – **სულ 679,5 ათასი ლარი;** 2015 წელს – 10 საჯარო სკოლისა და 2 სამედიცინო ოთახის მოწყობა **სულ 212,6 ათასი ლარით დაფინანსდა;** 2016 წელს – ნაწილობრივი რებილიტაცია განხორციელდა 2 საჯარო სკოლაში **(სულ 89,4 ათასი ლარი),** 2017 წელს სრული **რეაბილიტაცია ჩაუტარდა** – სოფ.განძის N21 (141,4 ათასი ლარი) და სათხის (178,1 ათასი ლარი) საჯარო სკოლებს;

სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 2019 წელს, განხორციელდა: გორელოვკის N23 (424, 8 ათასი ლ); ქ. ნინოწმინდის N23 (103,1 ათასი ლ) და N24 (74, 4 ათასი ლ), ოროჯალარის (21, 5 ათასი ლ), სოფელ საღამოს (9,2 ათასი ლ) საჯარო სკოლების სრული/ნაწილობრივი რეაბილიტაცია. სტანდარტის შესაბამისად სველი წერტილები მოეწყო **9 საჯარო სკოლაში.** მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურულად **ადაპტირებულია** 6 სკოლა; **ცენტრალური გათბობა** მოეწყო 19 სკოლაში; **ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის** პროგრამა ხორციელდება 4 სკოლაში; **2020 წელს –** სტანდარტის შესაბამისი სველი წერტილებისა და გათბობის სისტემები მოეწყო 17 საჯარო სკოლაში (**1 მლნ ლ);** ადაპტირებულია 29 საჯარო სკოლა, ცენტრალური გათბობის სისტემა მოეწყო 17 სკოლაში; ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა ხორციელდება 2 სკოლაში. **მიმდინარეობს** სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები მამწვარას, ეფრემოვკის, კათნატუს, განძის, ტამბოვკისა და როდიონოვკის საჯარო სკოლებში (549,1 ათასი ლ); **მუნიციპალური განვითარების ფონდი** სოფელ ორლოვკაში აშენებს, 90 მოსწავლეზე გათვლილ სკოლას (პროექტირება/მშენებლობა 1,8 მლნ ლ), აფინანსებს ქ. ნინოწმინდის N21 (3 მლნ ლ) და სოფ. ყაურმის (1,6 მლნ ლ) საჯარო სკოლების რეაბილიტაციას.

უმაღლესი განათლება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სოციალური პროგრამით, 2013-2016 წლებში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტიდან დაფინანსება მოიპოვა 17-მა, 2017 წელს – 2-მა სტუდენტმა, რომლებიც, ბოლო სამი წლის განმავლობაში, სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება მოიცავს სამცხე ჯავახეთის რეგიონის 6 მუნიციპალიტეტის – ადიგენი, ასპინძა, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი და ნინოწმინდა –** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთვრებულებს. 2018-2019 სასწავლო წელს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან, დაფინანსდა 79 სტუდენტი, 2019-2020 სასწავლო წელს – 79 სტუდენტი, 2020-2021 სასწავლო წელს – 79 სტუდენტი.

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება.
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ დაწესებულებებში სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ყველა ბავშვს შეისწავლოს მშობლიური და სახელმწიფო ენები სრულფასოვნად.
- **გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის საბავშვო ბაღების მშენებლობა** ჟდანოვაკანში, ფოკაში, მამწვარაში, განძაში და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- **2020-2022 წლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 17 პროექტი (1 მლნ 260 ათასი ლარი); მათ შორის, რეაბილიტაცია ჩაუტარდებათ:** დიდი არაქალის, დიდ ხანჩალის, ჯიგრაშენის, დილითის, დიდი გონდრიოს, მამწვარას, ოროჯალარის, ეშტიის, ჟდანოვის, პატარა ხანჩალის, განძის საბავშვო ბაღებს; დაგეგმილია საბავშვო ბაღების მშენებლობა სოფელ პატარა ხანჩალში (270 ათასი ლარი), სოფელ როდიონოვკაში (281,5 ათასი ლარი); რეკონსტრუქცია ჩაუტარდება საბავშვო ბაღებს სოფ. ყულალისსა და ჟდანოვაკანში (160 ათასი ლარი);
- გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არაქართულენოვან სკოლებში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობას ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ყველა ბავშვს შეისწავლოს მშობლიური და სახელმწიფო ენები სრულფასოვნად, ასევე, განივითაროს ყველა ის უნარი, რომელიც საჭიროა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის.
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ნინოწმინდაში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- **გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის:** 2019-2022 წლებში, დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის 20 პროექტი (14 მლნ 970 ათასი ლ), მათ შორის, ახალი სკოლის მშენებლობა ქ. ნინოწმინდაში, სკოლების რეაბილიტაცია სოფლებში: ოროჯალარი, გორელოვკა, სპასოვკა, ყულალისი, პატარა გონდრიო, დიდი არაქალი, პატარა ხანჩალი, ჯიგრაშენი, პატარა არაქალი, თორია, ორლოვკა, მამწვარა, დილითი, დიდი ხანჩალი;
- MCC – ამერიკული პროექტის ფარგლებში, სააგენტოს თანამონაწილეობით, დაგეგმილია, 2 სკოლის სრული რეაბილიტაცია (განძის N21 და სათხის საჯარო სკოლები), 5 სკოლის (დიდი გონდრიოს, გორელოვკის N21, ოროჯალარის, გორელოვკის N23 და ორლოვკის საჯარო სკოლები) ნაწილობრივი რეაბილიტაციისთვის პროექტირება/რეაბილიტაცია;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების **ხელმისაწვდომობა,** შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების **ხარისხის** განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: ნინოწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მთავარი ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, 14 სასოფლო ბიბლიოთეკა და ნინოწმინდის სკოლის გარეშე აღზრდის დაწესებულება.

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, გაიზარდა კულტურის სფეროს **დაფინანსება.** 2013 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები განისაზღვრა 197 ათასი ლარით, 2020 წლის შესაბამისმა მაჩვენებელმა კი **425.3 ათასი** ლარი შეადგინა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა **საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში:** იმართება ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები მკითხველებსა და პედაგოგებთან, ტარდება სკოლის მასწავლებელთა ღია გაკვეთილები, ეწყობა მხატვართა ნამუშევრების გამოფენები.

2017 წელს ჩატარდა კონკურსი, ა(ა)იპ „ქართველ სომეხთა კავშირის“ პროექტი „სომხური კულტურა მულტიეთნიკურ საქართველოში“. სომხური ტრადიციული დღესასწაული „კათნაპური“ ა(ა)იპ კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრი „ჰაიარტუნ“.

2015-2021 წლებში სამინისტროს ხელშეწყობით, ქ. ნინოწმინდასა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებში: (განძანი, ეშტია) ხორციელდება პროექტი **„მრავალფეროვანი საქართველო“,** რომლის მიზანია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდების ინფორმირებულობა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. პროექტის ფარგლებში, იმართება კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები/ აქტივობები, მათ შორის: შეხვედრა ქართველ და სომეხ ხელოვანებთან (მწერლები/პოეტები, მხატვრები, თეატრისა და კინოს რეჟისორები, მუსიკოსები) და მეცნიერებთან, ტარდება სხვადასხვა ტიპის ლექციასემინარები, მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ჩვენება/განხილვა, საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული საიუბილეო გამოცემების პრეზენტაცია, კონცერტები ადგილობრივი და დედაქალაქიდან ჩასული ფოლკლორული ანსამბლებისა და თანამედროვე მუსიკოს-შემსრულებლების მონაწილეობით, გამოფენები, სპექტაკლების ჩვენება. მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკები (მუნიციპალური, რაიონული, სასკოლო) ახლდება სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული წიგნებით.

2014-2021 წლებში, განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები (განძაში, დიდ ხანჩალში, კათნატუსა და ჯიგრაშენში კულტურის სახლების რეაბილიტაცია, განძაში კულტურის სახლის გათბობის სისტემის მშენებლობა, ნინოწმინდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია, ნინოწმინდის მუსიკალური სკოლის, ტამბოვკის კლუბისა და საღამოს დედათა მონასტრის რეაბილიტაცია, ფოკაში, ვლადიმეროვკაში, სათხეში, დიდ არაქალსა და გორელოვკაში კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია, გორელოვკისა და სოფელ ფოკის კულტურის სახლების ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები, ფოკის კულტურის სახლის რეაბილიტაცია), **რაზეც სულ 469,3 ათასი ლარი დაიხარჯა.**



ნინოწმინდის კულტურის ცენტრი

2018-2019 წლებში, სოფელ საღამოში, ჩატარდა იოანე წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიის სამხრეთ მინაშენის რეაბილიტაცია – 178,9 ათასი ლარი;

2019 წელს ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ განძაში არსებულ ვაჰან ტერიანის სახლ-მუზეუმს – 9,4 ათასი ლარი; 2019 წელს **ჩატარდა** ფარავნის ყორღანული ველის გეოარქეოლოგიური კვლევა.

2020 წელს განხორციელდა აბულის, შაორის (ნინოწმიდის მუნიციპალიტეტი), ბეშთაშენის, სამებისა და ავრანლოს (წალკის მუციპალიტეტი) მეგალითური კომპლექსების არქეოლოგია; ასევე, ფარავნის ტბის მიმდებარედ არსებული ყორღანის და სოფ. ახალ ხულგუმოსთან მდებარე შუა საუკუნეების ნასახლარის, ასევე შაორის მთის ძირში მდებარე ნამოსახლარის არქეოლოგია;

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში შემდეგი პროექტები განახორციელდა: საღამოს ეკლესიის რეაბილიტაცია (სულ – 180 ათასი ლარი); პროექტი „მრავალფეროვანი საქართველოს" მხარდაჭერა – ნინოწმინდა, ბოლნისი, მარნეული, ახალქალაქი (სულ – 17 ათასი ლარი); „კინო რეგიონებში“ (632 ლარი); „ყველა კულტურა განსხვავებული, მაგრამ თანასწორია“ (3 000 ლარი).

2015 წლიდან ტარდება ანიმაციური ფილმების ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი" (3,5 ათასი ლარი); ჯავახეთის სომხური ძეგლების ინვენტარიზაცია (სულ – 5 ათასი ლარი), ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა – ინვენტარიზაციის მეთოდოლოგიის გაცნობა (400 ლარი).

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში **კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის** მიზნით, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი „უძველესი ცივილიზაციების კვალდაკვალ“ (9,825 ლარი).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ ნინოწმინდის კომპლექსური სასპორტო სკოლა.

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის **ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება 105 ათასიდან 290 ათას ლარამდე გაიზარდა.**

მუნიციპალიტეტში პრიორიტეტული სპორტის სახეობებია: თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ფეხბურთი, კარატე, მკლავჭიდი, კრივი, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფუთსალი და სათხილამურო სპორტი.

2018-2020 წლებში გაიმართა ღონისძიებები, რომლებიც მიეძღვნა ევროპის სპორტის კვირეულსა და საერთაშორისო დღეს „სპორტი მშვიდობის და განვითარებისთვის“.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: ნინოწმინდის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია (12,3 ათასი ლარი); დიდ გონდრიოში მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (11,8 ათასი ლარი); ეშტიაში სპორტული დარბაზის მშენებლობა (57,8 ათასი ლარი); ყაურმაში სპორტული დარბაზის მშენებლობა (25,2 ათასი ლარი); დიდ ხანჩალში მინი სპორტული მოედნის მშენებლობა (30,5 ათასი ლარი); ფოკაში სპორტული ინვენტარის შეძენა (3 ათასი ლარი); სოფ. განძაში თავისუფალი ჭიდაობის სპორტული დარბაზის მშენებლობა (85 ათასი ლარი); ნინოწმინდაში, დიდ გონდრიოში, როდიონოვკაში, ფოკასა და სათხაში მინი სტადიონების მშენებლობა/რეაბილიტაცია (98 ათასი ლარი).

2017 წელს აშენდა მინი სპორტული მოედნები და სპორტული დარბაზები ქ. ნინოწმინდასა და სოფლებში: გორელოვკა, როდიონოვკა, სათხა, სპასოვკა, ტამბოვკა, ფოკა, ეშტია (სულ – 200,9 ათასი ლარი); სოფელ ეშტიის სპორტულ დარბაზში მოეწყო საქვაბე, გათბობა, სახურავი და გარე კიბე – 29,1 ათასი ლარი; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ნინოწმინდის სპორტდარბაზის იატაკს – 21,9 ათასი ლარი;

2018 წელს განხორციელდა სოფელ ყაურმის (65, 3 ათასი ლარი) და სოფელ განძის (55 ათასი ლარი) სპორტდარბაზების ნაწილობრივი რეაბილიტაცია;

2019 წელს სოფელ განძაში მოეწყო დახურული სპორტდარბაზი – 41 182; მინი სპორტული მოედნები აშენდა ოროჯალარში, სპასოვკაში, გორელოვკაში, ტამბოვკაში (135,1 ათასი ლარი);

მიმდინარეობს სოფელ სათხის სპორტდარბაზის შიდაკოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები (18 ათასი ლარი); სოფელ განძის სპორტული დარბაზების მშენებლობის მესამე ეტაპი (200 ათასი ლარი); მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია ქ. ნინოწმინდაში, დიდ ხანჩალში, ოროჯალარში, სათხაში, ტამბოვკაში, დიდ გონდრიოში (200 ათასი ლარი).

2013-2021 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (8,7 ათასი ლარი) და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (3,9 ათასი ლარი).

2018 წლიდან ხორციელდება მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამით“, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, **დასაქმებული 12 მწვრთნელი იღებს ფულად დანამატს**. პროგრამა ხელს უწყობს ადგილზე მწვრთნელების დამაგრებას და სხვა პირების მაღალმთიან რეგიონში მწვრთნელად მუშაობის მოტივაციის გაზრდას.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ახალგაზრდობის სფეროში სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები; „ახალგაზრდული ტურიზმის განვითარება რეგიონებში“ (ფოკა – ფარავნის ტბა – ვლადიმეროვკა – საფარა – ტამბოვკა – თავკვეთილი – ავრანლოს ციხე); „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მასშტაბით, 2-2 ახალგაზრდა თითოეული მუნიციპალიტეტიდან).

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;

- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაცია (სულ – 25 ათასი ლარი, 2017-2021 წ.წ.);
- განხორციელდება ჯავახეთის კათოლიკური ძეგლების ინვენტარიზაცია (2 ათასი ლარი);
- განხორციელდება სოფ. განძის ტერიანის სახლ-მუზეუმის ექსპოზიციისა და მემორიალის რეაბილიტაცია (20 ათასი ლარი);
- განხორციელდება დილითში, გონდრიოსა და პატარა ხანჩალში კულტურის და რიტუალური სახლების რეაბილიტაცია (150 ათასი ლარი);
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად, გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა.

2021-2023 წლებში დაგეგმილია:

- სოფელ სპასოვკაში სპორტული დარბაზების მშენებლობა – 300 ათასი ლარი;
- სოფელ დიდ ხანჩალში სპორტული დარბაზების მშენებლობა – 350 ათასი ლარი;
- სოფელ ეშტიის სპორტული დარბაზების რეაბილიტაცია – 60 ათასი ლარი;
- სოფელ ყაურმის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია – 60 ათასი ლარი;
- ქ. ნინოწმინდის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია – 60 ათასი ლარი;
- მინი სპორტული მოედნების მშენებლობა სოფლებში: პატარა ხანჩალი, ჯიგრაშენი, ჟდანოვაკანი, ორლოვკა, ეფრემოვკა, საღამო (140 ათასი ლარი);
- მინი სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია ქ. ნინოწმინდაში (50 ათასი ლარი), ასევე სოფლებში: დიდი ხანჩალი (20 ათასი ლარი), ოროჯალარი (40 ათასი ლარი), სათხე (25 ათასი), სპასოვკა (20 ათასი), ტამბოვკა (20 ათასი); პატარა არაქალი (50 ათასი ლარი) (2021-2022 წ.წ.);
- 2021-2025 წლებში გაგრძელდება მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა.
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

მართლწესრიგი

დანაშაულის სტატისტიკა

2017-2020 წლებში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულის (იმ 5 სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

ცხ. 1 ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.

მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)	1	2	0	1
მათ შორის, გახსნილი	1	2	0	0
მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	0	0	1	2
მათ შორის, გახსნილი	0	0	1	2
გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)	0	0	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)	0	0	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)	0	0	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
სულ	1	2	1	3
მათ შორის გახსნილი	1	2	1	2

ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში

პრობაციონერთა სტატისტიკა	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა	35	40	38	41
არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
დანაშაულის რეციდივის შემთხვევები	3	1	0	0
სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	0	0	0	0

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წ.წ., კრიმინოგენური მდგომარეობა მშვიდი და სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 7 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 6, ანუ 86%, რაც გახსნის მაღალი მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად 1-3 შემთხვევის ფარგლებშია, ხოლო მათი არსებითი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

პრობაციონერთა სტატისტიკა

2017-2020 წწ. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.

სტატისტიკა მოწმობს, რომ საანგარიშგებო პერიოდში (2017-2020 წ.წ.) მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, სტაბილურია, წლების მიხედვით მნიშვნელოვნად არ იზრდება და 35-40-ის ფარგლებში მერყეობს;

პრობაციონერთა შორის განმეორებით ჩადენილი დანაშაული იშვიათია და 2017-20 წ.წ.-ში სულ 4 ასეთი შემთხვევაა აღრიცხული. ხოლო ბოლო ორი – 2019 და 2020 წლების განმავლობაში არც ერთი ასეთი ფაქტი არ აღრიცხულა. პრობაციონერთა შორის რეციდივის პრაქტიკულად არარსებობა ასევე მიუთითებს მუნიციპალიტეტში კრიმინოგენური მდგომარეობის სიმშვიდესა და სტაბილურობაზე.

აღსანიშნავია, რომ სამომავლოდ პრობაციის სააგენტო, პანდემიის გამოწვევის გათვალისწინებით, გეგმავს პრობაციონერებისთვის სოციალური რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამების დანერგვასა და ეფექტიანად განხორციელებას; ასევე, მსჯავრდებულთა აქტიურ ხელშეწყობას ადგილზე, მუნიციპალიტეტში მათ დასასაქმებლად.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ცენტრები

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება. **საზოგადოებრივი ცენტრი,** იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო (მაგ. „ლიბერთი“ ბანკის, მაგთიკომის და სხვ.) მომსახურება, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნით მაღალი პროფესიული სტანდარტებით მომზადებული პერსონალი ახორციელებს; იმავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას. იგი გახდება ეფექტიანი ინსტრუმენტი თემის თვითორგანიზებისა და მის მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალოდ განხორციელებისათვის.

2013 წლის 13 ივლისიდან ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოკაში საზოგადოებრივი ცენტრი შეუფერხებლად მუშაობს. 2020 წლის 22 ოქტომბრიდან მას შეემატა ნინოწმინდის საზოგადოებრივი ცენტრიც.

ორივე ეს ცენტრი ეფექტიანად ემსახურება მოქალაქეებს. სამომავლოდ საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა, აღჭურვა და პერსონალის მომზადება ეტაპობრივად მოიცავს მთლიანად მუნიციპალიტეტს, რაც ხარისხობრივად გაზრდის სახელმწიფო თუ მუნიციპალური მომსახურეობის ხარისხსა და მათ ხელმისაწვდომობას ადგილებზე, თვისებრივად ახალ ეტაპზე გაიყვანს ადგილობრივ თვითმმართველობას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ადგილებზე სწრაფი განვითარებისთვის.



ჩემო ძვირფასებო!

ჩემთვის დიდი პატივი და ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობაა, ზედიზედ მეორედ ვიყო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი!

როგორც თქვენთვის ცნობილია, პოზიციაზე ვმუშაობდი და მთელი ამ დროის განმავლობაში, ჩემთვის მთავარი პრინციპი თანამოქალაქეებზე ზრუნვა იყო. ამით ვამაყობ და სწორედ ამ ღირებულებაზე დაყრდნობით, მსურს, თქვენთან ერთად შევქმნა ნინოწმინდის წარმატებული ხვალინდელი დღე.

მე და ჩემს გუნდს გვაქვს კონკრეტული ხედვა, თუ როგორ გახდეს ნინოწმინდა უფრო წარმატებული, ეკონომიკურად განვითარებული და უფრო კომფორტული. ჩვენი მთავარი გამოწვევა ახალგაზრდების განვითარებაზე, მათ განათლებასა და დასაქმებაზე ზრუნვაა.

გვწამს, რომ ნინოწმინდა გახდება ქალაქი, სადაც ახალგაზრდებს ყველა სფეროში წარმატების მიღწევის საშუალება ექნებათ;

ნინოწმინდა გახდება ქალაქი, სადაც ხანშიშესული მოქალაქეების ყოველდღიურობა ნაკლებ სირთულესთან იქნება დაკავშირებული;

ნინოწმინდა გახდება ქალაქი, სადაც საკმარისი სამუშაო ადგილი იქნება ჩვენი თანამემამულეებისთვის და მათ აღარ დასჭირდებათ სხვა ქვეყნებში წასვლა;

ოთხი წლის წინ, თქვენი მხარდაჭერით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერი გავხდი და დღემდე არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. თითოეული ამ წარმატებული პროექტის უკან სწორედ თქვენ დგახართ, ჩემო ნინოწმინდელებო. ვიცი, როგორ გიყვართ თქვენი მხარე, როგორ აფასებთ მას და კარგად მესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი უშუალო მონაწილეობა ნინოწმინდის უკეთესი ხვალინდელი დღის შექმნაში.

თქვენი იმედი მაქვს, ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.